



საქმე N38/1952-15
საქმე N330310015795752



გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

I

შ ე ს ა ვ ა ლ ი:

04 თებერვალი, 2016 წელი

ქ. თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

თავმჯდომარე - შოთა გეწაძე
მოსამართლეები - ნინო ქადაგიძე
მანანა ჩოხელი

სხდომის მდივანი - სოფიო ჯაფარიძე

აპელანტი (მოსარჩელე) - კ.ყ.
წარმომადგენელი - ნ. გ.

აპელანტი (მოპასუხე) – საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;
წარმომადგენელი - გ. ც.

დავის საგანი – ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა, იძულებითი გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელოს ანაზღაურება;

გასაჩივრებული გადაწყვეტილება – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება;

II

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი

1. კ. ყ.-ს სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა:

1.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილების (სარეზოლუციო ნაწილის მე-2 და მე-3 პუნქტების) გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

1.2. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა:

1.3. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილების (სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტი) გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

2. გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებზე მითითება

2.1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

კ. ყ.-ს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს თავდაცვის მინისტრის XX.XX.XXXX წლის №XXX X XX XXXXXXXXXXXX ბრძანება - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსის კ. ყ.-ს გათავისუფლების შესახებ და დაევალა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მოსარჩელე კ. ყ.-თან მიმართებაში, კანონით დადგენილ ვადაში. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა. მხარეები გათავისუფლებულნი არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. ნ. გ.-ს დაუბრუნდა კ. ყ.-ს საქმეზე 2015 წლის 31 მარტს გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 100 (ასი) ლარი, ხოლო ნ. ა.-ს დაუბრუნდა კ. ყ.-ს საქმეზე 2015 წლის 27 აპრილს გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 150 (ასორმოცდაათი) ლარი, (ხაზინის ერთიანი ანგარიშის რეკვიზიტები: ბანკის დასახელება - ქ. თბილისი „სახელმწიფო ხაზინა“; ბანკის კოდი - TRESGE22; სახაზინო კოდი: 300773150).

3. დასკვნები ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით:

3.1. უდავო ფაქტობრივი გარემოებები

კ. ყ. მუშაობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროში ადმინისტრაციის უფროსის თანამდებობაზე.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის XXXX წლის XX ივნისის №XXX X XX XXXXXXXXXXXX ბრძანების საფუძველზე, ამავე სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსი კ. ყ. მივლინებული იქნა XXXX წლის XX ივლისიდან XXXX წლის X სექტემბრის ჩათვლით ქ. ლონდონში (გაერთიანებული სამეფო) დაგეგმილ ინგლისური ენის მოსამზადებელ კურსზე, ხოლო XXXX წლის XX სექტემბრიდან XXXX წლის XX ივლისის ჩათვლით ქ. ლონდონში (გაერთიანებული სამეფო) დაგეგმილ ბრიტანეთის თავდაცვის სწავლებების სამეფო კოლეჯის კურსში მონაწილეობის მისაღებად. (ტომი 2, ს.ფ. 42)

2015 წლის 6 მარტს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წერილით მიმართა საქართველოს მთავარმა პროკურატურატურამ და ითხოვა თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელთან კ. ყ.-სთან დაკავშირების უზრუნველყოფა. პროკურატურის განმარტებით, საჭირო იყო კ. ყ.-ს მოწმის სახით დაკითხვა. საკითხი მოხსენდა თავდაცვის

მინისტრს და მთავარ პროკურატურაში მიმდინარე გამოძიების ხელშეწყობის მიზნით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება კ. ყ.-სთვის სასწავლო მივლინების შეწყვეტის შესახებ. (ტომი 2, ს.ფ. 100-102).

საქართველოს თავდაცვის მინისტრის XXXX წლის XX მარტის №XXX X XX XXXXXXXX ბრძანებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსს კ. ყ.-ს XXXX წლის XX მარტიდან XX აპრილის ჩათვლით (X დღით) შეუწყდა სამსახურებრივი მივლინება ქ. ლონდონში (გაერთიანებული სამეფო) დაგეგმილ ბრიტანეთის თავდაცვის სწავლებების სამეფო კოლეჯის კურსზე სწავლისას. ამავე ბრძანებით, კ. ყ.-ს XXXX წლის XX აპრილიდან XXXX წლის XX ივლისის ჩათვლით გაუგრძელდა მივლინება თავდაცვის სწავლებების სამეფო კოლეჯის კურსში მონაწილეობის მისაღებად (ტომი 2, ს.ფ. 43).

მივლინების შეწყვეტის შესახებ XXXX წლის XX მარტის ბრძანება კ. ყ.-ს გაეგზავნა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით XXXX წლის XX მარტს. ამასთან, საქართველოს თავდაცვის მინისტრის XX.XX.XXXX წლის #XXX ბრძანების შესაბამისად, პროტოკოლის დეპარტამენტმა დაჯავშნა კ. ყ.-სთვის ორმხრივი ბილეთი (ლონდონი-თბილისი-ლონდონი XX.XX.XXXX-XX.XX.XXXXწ). აღნიშნული ბილეთის ჯავშანი კ. ყ.-ს გადაეგზავნა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, თუმცა ბილეთის გამოსყიდვა არ მომხდარა, რადგან არ მოხდა ჯავშნის დადასტურება. კ. ყ. მივლინების შეწყვეტის პერიოდში საქართველოში არ ჩამოსულა. (ტომი 2, ს.ფ. 103-105)

კ. ყ.-ს მიერ ბრძანების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ ჩაატარა სამსახურებრივი შემოწმება და XXXX წლის XX აპრილის დასკვნით მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსი კ. ყ. "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 79-ე მუხლის პირველი პუნქტის "ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე გათავისუფლებულიყო დაკავებული თანამდებობიდან.

ხსენებული დასკვნის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ კ. ყ. იცნობდა მინისტრის ბრძანებას მივლინების შეწყვეტის შესახებ, მან საქართველოში ჩამოუსვლელობასთან დაკავშირებით საქმის კურსში არ ჩააყენა ხელმძღვანელობა და მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატის მეშვეობით გაესაჩივრებინა აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან, რაც დასტურდება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის განჩინებით, რომლითაც კ. ყ.-ს უარი ეთქვა მივლინების შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრის XXXX წლის XX მ.-ს ბრძანების მოქმედების შეჩერებაზე.

დასკვნა შემდგომი რეაგირებისთვის გადაეგზავნა ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების დეპარტამენტს. (ტომი 2, ს.ფ. 100-102).

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს XXXX წლის XX აპრილის №XXX X XX XXXXXXXX ბრძანებით "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტისა და 79 მუხლის პირველი პუნქტის "ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსი კ. ყ. სამსახურებრივ მოვალეობათა ბრალეული შეუსრულებლობის გამო გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. (ტომი 2, ს.ფ. 46).

საქართველოს თვდაცვის მინისტრის XXXX წლის XX აპრილის №XXX X XX XXXXXXXXXX ბრძანებით ძალადაკარგულად გამოცხადდა "კ. ყ.-ს მივლინების შესახებ" საქართველოს თვდაცვის მინისტრის XXXX წლის XX მარტის №XXX X XX XXXXXXXXXX ბრძანება XXXX წლის XX აპრილიდან. (ტომი 2, ს.ფ. 48).

სასამართლოს მითითებით, დადგენილია და მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ, რომ საქართველოს თვდაცვის სამინისტროში მუშაობის პერიოდში კ. ყ.-ს დისციპლინური სახდელი დაკისრებული არ ჰქონია.

3.2. დასკვნები სამართლებრივ გარემოებებთან დაკავშირებით:

სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის პირველი ნაწილზე, რომლის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგი.

სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ბრძანებები ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებია.

პირველი ინსტანციის სასამართლომ განმარტა საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომლის თანახმად, საქართველოს ყველა იმ მოქალაქისათვის, რომელიც კანონის მოთხოვნებს აკმაყოფილებს, გარანტირებულია სახელმწიფო სამსახურში ნებისმიერი თანამდებობის დაკავების უფლება, ხოლო საჯარო სამსახურში მიღების პირობები განსაზღვრულია კანონით, რაც ნიშნავს იმას, რომ საქართველოს ყველა მოქალაქე საჯარო სამსახურში მიღებისას, თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში თუ საჯარო სამსახურიდან გათავისუფლების დროს, დაცულია რაიმე სახის არამართლობითი, კანონსაწინააღმდეგო ჩარევისაგან.

ამასთან, საქართველოს კონსტიტუციის 44-ე მუხლის პირველი პუნქტი ყველას ავალდებულებს საქართველოს კონსტიტუციისა და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულებას.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 21-ე და 23-ე მუხლების მიხედვით, ყოველ ადამიანს აქვს უფლება უშუალოდ მონაწილეობდეს თავისი ქვეყნის მართვა-გამგეობაში და თანაბარ საფუძველზე შევიდეს თავისი ქვეყნის სახელმწიფო სამსახურში, აგრეთვე, ყველას აქვს შრომის სამართლიანი პირობებისა და უმუშევრობისაგან დაცვის უფლება, რაც გულისხმობს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, მათ შორის არ დაუშვას პირის შრომითი პირობების იმგვარად დადგენა, რომელიც სახელმწიფო სამსახურში პირის შრომის უფლებას

არამართლზომიერად შეზღუდავს.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საჯარო სამსახური არის საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში.

საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულება (შემდგომში – დაწესებულება) არის სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით შექმნილი და ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულება, რომლის ძირითადი ამოცანა საჯარო ხელისუფლების განხორციელებაა.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს და განსაზღვრავს იმ დაწესებულებათა ჩამონათვალს, რომლებში საქმიანობაც ითვლება საჯარო საქმიანობად, "ბ" პუნქტის თანახმად, ასეთ დაწესებულებებს წარმოადგენენ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, საქართველოს სამინისტროები და სახელმწიფო საკვეუწყებო დაწესებულებები.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ **კ. ყ.** საქართველოს თავდაცვის სამინისტროში მუშაოდა ადმინისტრაციის უფროსის თანამდებობაზე, ამდენად, მიიჩნევა საჯარო მოსამსახურედ.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის #297 დადგენილების მე-3 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამინისტროს ხელმძღვანელობს მინისტრი, ამავე მუხლის "ვ" ქვეპუნქტის თანახმად, მინისტრი თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების საჯარო, მათ შორის, სამხედრო მოსამსახურეებს, წყვეტს მათი წახალისების, დისციპლინური პასუხისმგებლობის, მივლინებაში წარგზავნისა და შვებულებაში გასვლის საკითხებს, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

განსახილველ შემთხვევაში, **კ. ყ.** დაკავებული თანამდებობებიდან გათავისუფლდა საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანების საფუძველზე. რომლის საფუძველდაც მითითებულია სამსახურებრივ მოვალეობათა ბრალეული შეუსრულებლობა.

საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს სამსახურებრივ მოვალეობათა ბრალეული შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება. ამავე კანონის 79-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, იმ თანამდებობის პირმა ან დაწესებულებამ, რომელსაც აქვს მოხელის თანამდებობაზე დანიშვნის უფლება, დისციპლინური გადაცდომისათვის მის მიმართ შეიძლება გამოიყენოს დისციპლინური პასუხისმგებლობის შემდეგი ზომები: ა) შენიშვნა; ბ) გაფრთხილება; გ) არა უმეტეს ათი სამუშაო დღის ხელფასის დაკავება; დ) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან ჩამოშორება ხელფასის გაცემის შეჩერებით არა უმეტეს ათი სამუშაო დღისა; ე) უფრო დაბალი თანრიგის თანამდებობრივ სარგოზე გადაყვანა არა უმეტეს ერთი წლისა; ვ) სამსახურიდან განთავისუფლება ამ კანონის საფუძველზე.

ამავე კანონის 99-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომისათვის. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სამსახურებრივ მოვალეობათა დარღვევისათვის მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან, თუ მის მიმართ უკვე მოქმედებს დისციპლინური პასუხისმგებლობის ნებისმიერი სხვა ზომა. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან დისციპლინური პასუხისმგებლობის მოქმედების გარეშე, თუ იგი უხეშად დაარღვევს სამსახურებრივ მოვალეობებს.

პირველი ინსტანციის სასამართლომ განმარტა, რომ მოხელეს დისციპლინური სახდელის სახით მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეფარდება სამსახურიდან გათავისუფლება, თუ მის მიმართ უკვე მოქმედებს თუნდაც ერთი ნაკლებად მკაცრი დისციპლინური სახდელი. გამონაკლის შემთხვევას წარმოადგენს სამსახურებრივი მოვალეობების უხეში დარღვევა, რაც იძლევა საფუძველს მოხელე პირველივე დარღვევაზე სამსახურიდან გათავისუფლდეს.

სასამართლომ მიუთითა, რომ განსახილველ შემთხვევაში დადგენილია და მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ, რომ კ. ყ.-ს მოქმედი დისციპლინური სახდელი არ ჰქონდა.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ მიღებული ბრძანება დასაბუთებულობის მაღალ სტანდარტს უნდა პასუხობდეს, მითუმეტეს, როცა საქმე ეხება სამსახურებრივი მოვალეობების ბრალეულ შეუსრულებლობას, რაც ცალსახად შეფასებითი კრიტერიუმია და როდესაც დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში თანამდებობის პირი ასეთი სახის გადაწყვეტილებას იღებს, იგი ვალდებულია იმსჯელოს და დაასაბუთოს თუ რაში მდგომარეობს უხეში დარღვევა, რა მტკიცებულებებზე დაყრდნობით იღებს ასეთ გადაწყვეტილებას და რატომ არის გამორიცხული სხვა სახის დისციპლინური სახდელის გამოყენება მოხელის მიმართ, რომელსაც არც ერთი მოქმედი დისციპლინური სახდელი არ აქვს. ყოველგვარი ეჭვი უნდა გამოირიცხოს იმის თაობაზე, რომ ხელმძღვანელი თანამდებობის პირების მხრიდან შესაძლოა ადგილი ჰქონდეს დისკრიმინაციულ მიდგომას ამათუიმ მოხელის მიმართ.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, მართალია კ. ყ.-სთვის დისციპლინური სახდელის შეფარდების პროცესში ადმინისტრაციული ორგანო დისკრეციული უფლებამოსილებით სარგებლობს, თუმცა დისკრეციული უფლებამოსილება ადმინისტრაციულმა ორგანომ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების ერთადერთ საზომად არ უნდა მიიღოს; დაუშვებელია ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების კანონიერების მტკიცება მხოლოდ დისკრეციული უფლებამოსილების არსებობაზე მითითებით. მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების შეფასებისას გამოსარკვევია არა მარტო ის, ჰქონდა თუ არა ადმინისტრაციულ ორგანოს კონკრეტული საკითხის გადასაწყვეტად მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება, არამედ ის, თუ როგორ განახორციელა მან აღნიშნული უფლებამოსილება. სასამართლოს კონსტიტუციურ ვალდებულებას წარმოადგენს გააკონტროლოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული დისკრეციული უფლებამოსილების კანონიერება.

ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების კანონიერების დადგენა კი უპირველესად მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებიდან ხდება შესაძლებელი.

სასამართლოს მითითებით, აღსანიშნავია, რომ თუ დისციპლინური სახდელის შეფარდების პროცესში ადმინისტრაციული ორგანო სარგებლობს დისკრეციული უფლებამოსილებით, მასვე ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლი ავალდებულებს მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებას. ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გამორიცხოს თვითნებური, მიკერძოებული, არაკვალიფიციური გადაწყვეტილება და უნდა დაასაბუთოს მიღებული გადაწყვეტილების კანონთან შესაბამისობა და კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობა. მოტივირებული, დასაბუთებული გადაწყვეტილება კანონიერი გადაწყვეტის წინაპირობას წარმოადგენს. დასაბუთებაში კი არგუმენტირებულად უნდა მიეთითოს ყველა იმ გარემოებაზე, რომლის შესაბამისადაც მიღებულ იქნა ზუსტად ეს კონკრეტული გადაწყვეტილება და უარი ეთქვა სხვა სახის გადაწყვეტილებას.

სასამართლომ მიუთითა, რომ სადავო ბრძანება არ შეიცავს დასაბუთებას გამოყენებული დისციპლინური სახდელის შეფარდების საჭიროებაზე, კეროდ რატომ გამოიყენა მოპასუხემ კ. ყ.-ს მიმართ ყველაზე მძიმე დისციპლინური სახდელი - სამსახურიდან გათავისუფლება და რატომ იყო შეუძლებელი მის მიმართ უფრო მსუბუქი სახდელის გამოყენება.

მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლების ბრძანების საფუძველს და დასაბუთებას წარმოადგენს გენერალური ინსპექციის დასკვნა, რომელშიც მითითებულია, რომ კ. ყ. იცნობდა მინისტრის ბრძანებას მივლინების შეწყვეტის შესახებ, მან საქართველოში ჩამოუსვლელობასთან დაკავშირებით საქმის კურსში არ ჩააყენა ხელმძღვანელობა და მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატის მეშვეობით გაესაჩივრებინა აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ბრძანების გამოცემისას არ ყოფილა გამოკვლეული და შეფასებული თუ რაში მდგომარეობდა სამსახურებრივი მოვალეობის უხეში დარღვევა, რა ზიანი გამოიწვია და რა უარყოფითი შედეგები მოჰყვა მოსარჩელის ქმედებას.

დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში კ. ყ.-ს მიმართ დისციპლინური სახდელის შეფარდებისას, აუცილებელია ყურადღება მიექცეს საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპს. საგულისხმოა კ. ყ.-ს ქმედებამ რა ზიანი მიაყენა სახელმწიფოსა და საჯარო წესრიგს; დაცულია თუ არა კ. ყ.-ს მიმართ ყველაზე მკაცრი დისციპლინური სახდელის გამოყენებით თანაზომიერების პრინციპი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მითითებით, აღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო ბრძანება გამოცემულია საქმის გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, არ არის შეფასებული მისი გამოცემის საფუძველად მითითებული მტკიცებულებები და არ არის დასაბუთებული ყველაზე მკაცრი დისციპლინური სახდელის გამოყენების საჭიროება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად,

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი აქტი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი.

ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი კ. ყ.-ს დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრის XX.XX.XXXX წლის NXXX X XX XXXXXXXX ბრძანება და დაევალოს თავდაცვის სამინისტროს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კანონით დადგენილ ვადაში.

სამსახურში აღდგენის და იძულებით განაცდური ხელფასის ანაზღაურების შესახებ სასარჩელო მოთხოვნების ნაწილში სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 112-ე მუხლის თანახმად, სამსახურიდან უკანონოდ განთავისუფლებული მოხელე უფლებამოსილია მოითხოვოს განთავისუფლების უკანონოდ ცნობა, განთავისუფლების საფუძვლის შეცვლა და თანამდებობრივი სარგო.

ამავე კანონის 127-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, სასამართლოს მიერ სამსახურიდან განთავისუფლებაზე ან გადაყვანაზე გაცემული ბრძანების, განკარგულების ან გადაწყვეტილების ბათილად ცნობა არ იწვევს მოხელის სამსახურში დაუყოვნებლივ აღდგენას, თუ სასამართლო გადაწყვეტილების შესაბამისად, დაწესებულება ვალდებულია ახალი ბრძანება, განკარგულება ან გადაწყვეტილება გამოსცეს სამსახურიდან გათავისუფლებასთან ან გადაყვანასთან დაკავშირებულ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ. მოხელის მიერ მოთხოვნილი განაცდური ხელფასი ამ კანონის 112-ე მუხლით დადგენილი ოდენობით ანაზღაურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება მოხელეს აღადგენს სამსახურში. სხვა შემთხვევაში განაცდური ხელფასი არ ანაზღაურდება.

ვინაიდან, სასამართლომ სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნო კ. ყ.-ს დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრის NXXX X XX XXXXXXXX ბრძანება, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, მიიღოს გადაწყვეტილება მოსარჩელის კონკრეტულ თანამდებობაზე

აღდგენისა და ამ აღდგენის თანმდევი იძულებით განაცდურის ანაზღაურების თაობაზე.

სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელი საქართველოს თავდაცვის მინისტრის XX.XX.XXXX წლის NXXX X XX XXXXXXXXXXXX და საქართველოს თავდაცვის მინისტრის XX.XX.XXXX წლის NXXX X XX XXXXX ბრძანებების ბათილად ცნობის მოთხოვნის ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის თანახმად, სასამართლო ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს ბათილად ცნობს, თუ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი ეწინააღმდეგება კანონს და პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული აქტი ბათილია თუ იგი კანონს ეწინააღმდეგება ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადებისა და გამოცემის კანონით დადგენილი მოთხოვნები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომელზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს, ხოლო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი სარჩელი, წარადგინოს შესაგებელი და შესაბამისი მტკიცებულებანი. კანონის აღნიშნული ნორმები ადგენენ საპროცესო მოვალეობებს ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, რაც უზრუნველყოფს მხარეთა შეჯიბრობითობის პრინციპის სრულყოფილ რეალიზაციას. აქვე, კანონი ადგენს საგამონაკლისო შემთხვევას, კერძოდ, როდესაც დავის საგანს წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მართლზომიერების შემოწმება, მტკიცების ტვირთი გადადის აღნიშნული აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოზე-მოპასუხე სუბიექტზე. მიუხედავად ამისა, მტკიცების ტვირთის ამგვარი გადანაწილება ადმინისტრაციულ აქტთან დაკავშირებული საჩელის წარდგენისას არ გულისხმობს, რომ მოსარჩელე საერთოდ თავისუფლდება სარჩელის დასაბუთების ვალდებულებისაგან, ანუ იმ გარემოებების შესაბამისი მტკიცებულებებით დადასტურების მოვალეობისგან, რითაც მისი მოთხოვნა ფაქტობრივად და იურიდიულად გამართლებული აღმოჩნდება.

სასამართლოს განმარტებით, განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე ვერ ასაბუთებს, თუ რა სახის ზიანს აყენებენ ხსენებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები. ზიანი უნდა იყოს ამჟამინდელი ან მოსალოდნელი და არა ჰიპოთეტური. სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში უნდა იყოს აშკარა, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული ზიანი აღარ იარსებებს და მისი რომელიმე დარღვეული უფლება აღდგება. სარჩელი აღნიშნულის თაობაზე არ შეიცავს არანაირ მონაცემებს და სასამართლო სხდომაზე მოსარჩელემ ვერ დაასაბუთა სარჩელის ამ ნაწილში დაკმაყოფილების იურიდიული ინტერესი, ვერ მიუთითა თუ რომელი კანონი ან კანონქვემდებარე აქტის მოთხოვნა დაირღვა მივლინების 3 დღით შეწყვეტის შესახებ მიღებული დაგაწყვეტილებით და რატომ არ ჰქონდა აღნიშნულის უფლება საქართველოს თავდაცვის მინისტრს.

საპროცესო ხარჯებთან დაკავშირებით სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლზე, რომლის შესაბამისად, მხარეები გათავისუფლებულები არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, როდესაც

ორივე მხარე გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟისაგან, საქმეზე გაწეულ ხარჯს აანაზღაურებს სახელმწიფო.

განსახილველ შემთხვევაში სარჩელს ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. ვინაიდან, სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხებთან დაკავშირებით აღძრული სარჩელი განთავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან, ამიტომ მოსარჩელეს უნდა დაუბრუნდეს სარჩელზე ზედმეტად გადახდილი სახელმწიფო ბაჟი.

4. კ. ყ.-ს სააპელაციო საჩივრის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები:

სააპელაციო საჩივრის ავტორის განმარტებით, სასამართლო ძირითადად მსჯელობს საქართველოს თავდაცვის მინისტრის XXXX წლის XX აპრილის NXXX XXX XXXXXXXX ბრძანებაზე, თუმცა გადაწყვეტილება არ არის დასაბუთებული საქართველოს თავდაცვის მინისტრის XXXX წლის XX მარტის NXXX X XX XXXXXXXX და XXXX წლის XX აპრილის NXXX X XX XXXXXXXX ბრძანებების ბათილად ცნობის ნაწილში. აღნიშნული სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარის თქმისას, სასამართლო მხოლოდ კანონის მუხლების დასახელებითა და მოკლე, ზოგადი განმარტებებით შემოიფარგლა და არცერთ მოთხოვნაზე ფაქტობრივი და სამართლებრივი კუთხით არ უმსჯელია.

სააპელაციო საჩივრის ავტორის მითითებით, გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში არ არის დასაბუთებული, რატომ გამოიყენა საქართველოს თავდაცვის მინისტრის XXXX წლის XX აპრილის NXXX X XX XXXXXXXX ბრძანების ბათილად ცნობის გადაწყვეტილების გამოტანისას საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილება, ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი ბათილად ცნო სადავო საკითხის გადაუწყვეტლად და დაავალა თავდაცვის სამინისტროს ახალი აქტის გამოცემა.

სააპელაციო საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ კ. ყ.-ს კანონიერი ინტერესის არსებობა საქართველოს თავდაცვის მინისტრის XXXX წლის XX აპრილის გათავისუფლების ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში ცალსახაა, თუმცა არ არის დასაბუთებული, თუ რატომ მიიჩნია სასამართლომ, რომ არსებობდა გადაუდებელი აუცილებლობა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემისა და რატომ არ იმჯელა თავად სასამართლომ სადავო ბრძანების ბათილობაზე სადავო საკითხის გადაწყვეტით.

სააპელაციო საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ სასამართლომ არ დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნა საქართველოს თავდაცვის მინისტრის XXXX წლის XX მარტის NXXX X XX XXXXXXXX და XXXX წლის XX აპრილის NXXX X XX XXXXXXXX ბრძანებების ბათილად ცნობის ნაწილში და მიუთითა, რომ სარჩელი არ შეიცავს და არც სხდომაზე არ დაუსაბუთებია მხარეს სარჩელის ამ ნაწილში დაკმაყოფილების იურიდიული ინტერესი და თუ რა სახის ზიანი ადგებოდა მას. მოსამართლე აღნიშნავს „სახეზე უნდა იყოს ამჟამინდელი ან მოსალოდნელი ზიანი და არა ჰიპოთეტური ზიანი და აშკარა უნდა იყოს, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული ზიანი აღარ იარსებებს და მისი რომელიმე დარღვეული უფლება აღდგება“. სასამართლომ არასწორად განმარტა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლი და არასწორად იქნა დადგენილი, რომ მოსარჩელეს არ ჰქონდა იურიდიული ინტერესი. ვინაიდან, ფაქტია, რომ კ. ყ.-ს ზიანს აყენებდა მივლინების შეწყვეტის ბრძანება და ეს ზიანი იყო რეალური და

მოსალოდნელი, ვინაიდან სწორად აღნიშნული ბრძანების შეუსრულებლობა დაედო საფუძვლად მისი თანამდებობიდან გათავისუფლებას და სახეზე იყო მოსალოდნელი ზიანი, ვინაიდან აღნიშნული მივლინების შეწყვეტის შესახებ ბრძანების შესრულება იმთავითვე გამორიცხული იყო (XXXX წლის XX მარტის ბრძანება კ. ყ.-ს ელექტრონული ფოსტი საშუალებით გაეგზავნა 2015 წლის 30 მარტს 17:13 GMT+01:00- საათზე (საქართველოს დრო GMT+04:00, სხვაობა 3 საათი), რაც თბილისის დროით 20:13 საათია. 2015 წლის 30 მარტის 20:13 საათზე ეცნობა, რომ შეუწყდა მივლინება 2015 წლის 30 მარტიდან და თბილისში სამსახურში უნდა გამოცხადებულიყო 2015 წლის 30 მარტს დილის 09:00 საათზე, რაც ნიშნავს, რომ კ. ყ.-ს უნდა შეესრულებინა ბრძანება წარსულ დროში), შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო დარწმუნებული იყო, რომ კ. ყ. ვერ შეძლებდა ამ ბრძანების შესრულებას, რაც გახდებოდა მის მიმართ დისციპლინური ღონისძიების გამოყენების საფუძველი და ის ფაქტი, რომ დისციპლინური ღონისძიება, თუნდაც ყველაზე მსუბუქი ფორმით მოსარჩელისათვის ზიანის მომტანი იქნებოდა, ცალსახაა. გარდა აღნიშნულისა, თავდაცვის სამინისტროს მიერ ბრძანებით განსაზღვრული მივლინების შეწყვეტის თარიღები 2015 წლის 30 მარტიდან 01 აპრილის ჩათვლით, არ ემთხვევა ბილეთების ჯავშნის თარიღებს 31.03.2015-02.04.2015, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ბრძანების შესრულების შეუძლებლობას. საქართველოს თავდაცვის მინისტრის XXXX წლის XX აპრილის NXXX X XX XXXXXXXXXX ბრძანება გამოცემულია მინისტრის XXXX წლის XX მარტის NXXX X XX XXXXXXXXXX ბრძანების მოსაწესრიგებლად და შესაბამისად, მოსარჩელის იურიდიული ინტერესი აღნიშნული ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე სახეზეა.

სააპელაციო საჩივრის ავტორს მიაჩნია, რომ XXXX წლის XX აპრილის XXX X XX XXXXXXXXXX ბრძანებასთან მიმართებით გადაწყვეტილებაში არასწორად იქნა გამოყენებული ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის დანაწესი, მიუხედავდ იმისა, რომ აღნიშნული ბრძანება გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი გამოცემულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის საწინააღმდეგოდ, რომლის მიხედვითაც, ადმინისტრაციულ ორგანოს არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება, ასევე, ამავე კოდექსის 53-ე მუხლის დარღვევით. აღნიშნულ შემთხვევაში კი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბრძანება არ შეიცავს დასაბუთებას, როგორც ეს სასამართლოს გადაწყვეტილებაშია აღნიშნული.

სააპელაციო საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ XXXX წლის XX აპრილის აპრილის NXXXX X XX XXXXXXXXXX ბრძანებას საფუძვლად უდევს ბათილი ბრძანება მივლინების შეწყვეტის შესახებ. მინისტრის XXXX წლის XX მარტის NXXX XXXX XXXXXXXXXX ბრძანება გამოცემულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა დარღვევით და არ შეიცავს ამ კოდექსის 53-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებულ წერილობით დასაბუთებას, თუ რატომ უნდა მომხდარიყო მივლინების შეწყვეტა. აპელანტს მიაჩნია, რომ სასამართლოს მხრიდან არასწორად იქნა განმარტებული ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი. სასამართლომ არ დაასაბუთა რაში მდგომარეობდა იმის აუცილებლობა, რომ სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ეცნო ბათილად ბრძანება და სამინისტროსათვის დაევალებინა ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემა. მოსარჩელის ინტერესები უფრო მეტად იქნებოდა დაცული, თუკი სასამართლო გათავისუფლების ბრძანებას ბათილად სადავო საკითხის გადაწყვეტით სცნობდა და ავტომატურად მოხდებოდა ყიფიანის თანამდებობაზე აღდგენა.

სააპელაციო საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ გენერალური ინსპექციის 2015 წლის 15 აპრილის დასკვნა ეფუძნება მხოლოდ იმ გარემოებას, თავდაცვის სამინისტრომ გადაწყვიტა თავის თავზე ეკისრა პროკურატურის ფუნქციები, მიუხედავად იმისა, რომ სამინისტრო არ არის აღნიშნულზე უფლებამოსილი ორგანო. თავდაცვის სამინისტრომ მოსარჩელის გათავისუფლებას საფუძვლად დაუდო ისეთი ბრძანების შეუსრულებლობა, რომლის შესრულებაც ფიზიკურად შეუძლებელი იყო. აპელანტი აღნიშნავს: გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ 2015 წლის 15 აპრილის გენერალური ინსპექციის დასკვნის მიხედვით, კ. ყ.-მ საქართველოში ჩამოუსვლელობასთან დაკავშირებით საქმის კურსში არ ჩააყენა ხელმძღვანელობა და მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატის მემწევობით გაესაჩივრებინა მივლინების შესახებ მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. სასამართლო არ უთითებს, რომ მოსარჩელეს აქტიური მიმოწერა ჰქონდა თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებთან, ხოლო მივლინების შეწყვეტის შესახებ ბრძანების მოქმედების შეჩერების მოთხოვნა სასამართლოს მემწევობით იყო ერთადერთი გზა, რომლითაც მოსარჩელეს შეეძლო უკანონო და შეუსრულებადი ბრძანების შეჩერება.

სააპელაციო საჩივრის ავტორი განმარტავს: ვინაიდან მიაჩნია, რომ სასამართლოს სადავო საკითხის გადაწყვეტით უნდა ეცნო ბათილად საქართველოს თავდაცვის მინისტრის XXXX წლის XX აპრილის კ. ყ.-ს თანამდებობიდან გათავისუფლების ბრძანება, გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში არ უნდა ყოფილიყო გამოყენებული „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 127-ე მუხლის მე-6 პუნქტი და სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლით და „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 112-ე და 127-ე მუხლებით, რითაც უზრუნველყოფილი იქნებოდა კ. ყ.-ს თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსის თანამდებობაზე გათავისუფლებამდე არსებული პირობებით აღდგენა და იძულებით გაცდენილი პერიოდისათვის შრომითი გასამრჯელოს ანაზღაურება.

4.1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივრის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები:

სააპელაციო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოს თავდაცვის მინისტრის XX.XX.XXXXXX წლის NXXXX ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია შემდეგ გარემოებათა გამო: საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის თანახმად, აქტი ბათილია თუ ის ეწინააღმდეგება კანონს.

აპელანტი სასამართლოს ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ სადავო ბრძანება გამოცემულია უფლებამოსილი პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნათა დაცვით და ეფუძნება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის დასკვნას, რომელიც მოსარჩელე მხარის მიერ სადავო არ გამხდარა.

აპელანტი მიუთითებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის მიხედვით, დისციპლინარულ გადაცდომას წარმოადგენს სამსახურებრივ მოვალეობათა ბრალეული შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება, ხოლო 79-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს სამსახურიდან განთავისუფლება. ამავე კანონის 99-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად კი - მოხელე შეიძლება

გათავისუფლონ სამსახურიდან დისციპლინური პასუხისმგებლობის მოქმედების გარეშე, თუ იგი უხეშად დაარღვევს სამსახურებრივ მოვალეობებს.

სააპელაციო საჩივრის ავტორი მიუთითებს საქართველოს თავდაცვის მინისტრის XX.XX.XXXX წლის NX ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებზე, რომელთა თანახმადაც, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის კომპეტენციას განეკუთვნება - ამ დებულებით განსაზღვრული ამოცანებისა და კომპეტენციის განხორციელებისას მიღებული ინფორმაციის ანალიტიკური დამუშავება, რეკომენდაციების/წინადადებების წარდგენა მინისტრისათვის ან/და პრევენციული ღონისძიებების განსაზღვრა შემოწმების სუბიექტისათვის ან/და მოსამსახურისათვის; ასევე, კანონმდებლობის დამრღვევ მოსამსახურეთა მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების შესახებ მინისტრისათვის ან/და დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უფლებამოსილი პირისათვის რეკომენდაციების/წინადადებების წარდგენა.

გენერალური ინსპექციის მიერ, დებულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, შეფასებული იქნა მოსარჩელის ქმედება NXXX ბრძანების შესრულებასთან დაკავშირებით და მიზანშეწონილად მიიჩნია მოსარჩელის მიმართ დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომის - სამსახურიდან გათავისუფლების გამოყენება, რაც განხორციელდა კიდევ თავდაცვის მინისტრის NXXXX ბრძანებით.

აპელანტს მიაჩნია, რომ სასამართლოს მითითება, თითქოს სადავო ბრძანების გამოცემისას არ გამოკვლეულა და შეფასებულა საქმის გარემოებები და ბრძანება არის დაუსაბუთებელი, არის უსაფუძლო. სასამართლოს მიერ არ შეფასებულა ის გარემოება, რომ მოსარჩელის მიერ სადავოდ არ გამხდრა გენერალური ინსპექციის XX.XX.XXXXXX წლის დასკვნა, რომელიც წარმოადგენს სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების გამოცემის საფუძველს.

III

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

5. გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების დასაბუთება:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ აპელანტის მიერ სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები ქმნიან სამოქალაქო

საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლების შემადგენლობას, შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს;

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, როდესაც არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები (სსსკ-ის 394-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევები), სააპელაციო სასამართლოს შეუძლია თვითონ გამოიტანოს გადაწყვეტილება, რა დროსაც სსსკ-ის 386-ე მუხლის მიხედვით გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით იღებს ახალ გადაწყვეტილებას.

5.1. ფაქტობრივი დასაბუთება:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიის XXXX წლის XX ივნისის საოქმო განჩინებით გაერთიანდა NX/XXXX-XX ადმინისტრაციული საქმე, რომელიც ეხებოდა სამსახურიდან განთავისუფლებას, სამსახურში აღდგენას და იძულებით განადგურს (მოსარჩელე - კ. ყ. მოპასუხე - საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; დავის საგანი - აქტის ბათილად ცნობა, ახალი აქტის გამოცემა, ქმედების განხორციელება) და NX/XXXXXX-XX ადმინისტრაციული საქმე, რომელიც ეხებოდა მივლინების შეწყვეტას (მოსარჩელე - კ. ყ. მოპასუხე - საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; დავის საგანი - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა) (ტ. II, ს. ფ. 79). გაერთიანებულ საქმეს მიენიჭა #X/XXXXXX-XX.

დადგენილია, რომ კ. ყ. მუშაობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროში ადმინისტრაციის უფროსის თნამდებობაზე.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის XXXX წლის XX ივნისის NXXX X XX XXXXXXXXXXXX ბრძანების საფუძველზე, ამავე სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსი კ. ყ. მივლინებული იქნა 2014 წლის 27 ივლისიდან 2014 წლის 4 სექტემბრის ჩათვლით ქ. ლონდონში (გაერთიანებული სამეფო) დაგეგმილ ინგლისური ენის მოსამზადებელ კურსზე, ხოლო 2014 წლის 05 სექტემბრიდან 2015 წლის 28 ივლისის ჩათვლით ქ. ლონდონში (გაერთიანებული სამეფო) დაგეგმილ ბრიტანეთის თავდაცვის სწავლებების სამეფო კოლეჯის კურსში მონაწილეობის მიღების მიზნით. (ტ. I, ს. ფ. 13)

საქმის მასალებით დადგენილია, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურის XXXX წლის XX მარტის NXX/XXXXXX მიმართვის თანახმად, საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარე გამოძიებაზე ვერ ხერხედებოდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლის კ. ყ.-ს მოწმის სახით დაკითხვა, რომელიც იმყოფებოდა საზღვარგარეთ, რის გამოც პროკურატურამ ითხოვა მისი საგამოძიებო ორგანოში გამოცხადების უზრუნველყოფა (ტ. II, ს. ფ. 123-124).

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის XXXX წლის XX აპრილის დასკვნის თანახმად, საკითხი კ. ყ.-ს პროკურატურაში მოწმის სახით დაკითხვის უზრუნველყოფის თაობაზე მოხსენდა თავდაცვის მინისტრს და მიმდინარე გამოძიების პროცესისათვის ხელშეწყობის მიზნით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება კ. ყ.-სთვის სასწავლო მივლინების შეწყვეტის შესახებ. (ტ. II, ს. ფ. 100-102).

საქართველოს თავდაცვის მინისტრის XXXX წლის XX მარტის NXXX X XX XXXXXXXXXXXX ბრძანებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსს კ. ყ.-ს X წლის 30 მარტიდან 01 აპრილის ჩათვლით შეუწყდა სამსახურებრივი მივლინება ქ. ლონდონში (გაერთიანებული სამეფო) დაგეგმილ ბრიტანეთის თავდაცვის სწავლებების სამეფო კოლეჯის კურსზე. ამავე ბრძანებით კ. ყ.-ს 2015 წლის 02 აპრილიდან 2015 წლის 28 ივლისის ჩათვლით გაუგრძელდა მივლინება თავდაცვის სწავლებების სამეფო კოლეჯის კურსში მონაწილეობის მისაღებად (ტ. II, ს.ფ. 43).

მივლინების შეწყვეტის შესახებ 2015 წლის 30 მარტის ბრძანება კ. ყ.-ს გაეგზავნა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით 2015 წლის 30 მარტს (ტ. II, ს.ფ.44-45). ამასთან, საქართველოს თავდაცვის მინისტრის XX.XX.XXXX წლის NXXX ბრძანების შესაბამისად, პროტოკოლის დეპარტამენტმა დაჯავშნა კ. ყ.-ს ორმხრივი ბილეთი (ლონდონი-თბილისი-ლონდონი 31.03.2015-02.04.2015წ). აღნიშნული ბილეთის ჯავშანი კ. ყ.-ს გადაეგზავნა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, თუმცა ბილეთის გამოსყიდვა არ მომხდარა, რადგან არ მოხდა ჯავშნის დადასტურება. კ. ყ. მივლინების შეწყვეტის პერიოდში საქართველოში არ ჩამოსულა (ტ. II, ს.ფ.103-105).

კ. ყ.-ს მიერ ბრძანების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ ჩაატარა სამსახურებრივი შემოწმება და 2015 წლის 15 აპრილის დასკვნით მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსი კ. ყ. "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 79-ე მუხლის პირველი პუნქტის "ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე გათავისუფლიყო დაკავებული თანამდებობიდან (ტ. II, ს.ფ. 100-102).

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის XXXX XX ა.-ს დასკვნის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ კ. ყ. იცნობდა მინისტრის ბრძანებას მივლინების შეწყვეტის შესახებ, მან საქართველოში ჩამოუსვლელობასთან დაკავშირებით საქმის კურსში არ ჩააყენა ხელმძღვანელობა და მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატის მეშვეობით გაესაჩივრებინა აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან, რაც დასტურდება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის განჩინებით, რომლითაც კ. ყ.-ს უარი ეთქვა მივლინების შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრის XXXX წლის XX მარტის ბრძანების მოქმედების შეჩერებაზე. დასკვნა შემდგომი რეაგირებისთვის გადაეგზავნა ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების დეპარტამენტს (ტ. II, ს.ფ. 100-102).

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს XXXX წლის XX ა.-ს NXXX XX XXXXXXXXXXXX ბრძანებით "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტისა და 79 მუხლის პირველი პუნქტის "ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსი კ. ყ. სამსახურებრივ მოვალეობათა ბრალეული შეუსრულებლობის გამო გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან (ტ. II, ს.ფ. 46).

საქართველოს თავდაცვის მინისტრის XXXX წლის XX აპრილის NXXX X XX XXXXXXXXXXXX ბრძანებით ძალადაკარგულად გამოცხადდა „კ. ყ.-ს მივლინების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის XXXX წლის XX მარტის NXXX X XX XXXXXXXXXXXX ბრძანება XXXX წლის XX აპრილიდან (ტ. II, ს.ფ. 48).

საქმეზე დართული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსის

მოვალეობის შემსრულებლის კ. ჩ.-ს ცნობის თანახმად, საქართველოს პროკურატურის წერილის საფუძველზე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება პროკურატურისათვის ხელშეწყობის მიზნით კ. ყ.-ს სასწავლო მივლინებიდან საქართველოში გამოწვევის თაობაზე. აღნიშნულის შესახებ სატელეფონო გზით ეცნობა კ. ყ.-ს, რომელსაც გააცნეს სამინისტროს პოზიცია იმის თაობაზე, რომ გამოწვევა მოხდებოდა ოფიციალურად, ამასთან, კ. ყ. უზრუნველყოფილი იქნებოდა მგზავრობასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვით. მისთვის ასევე შეთავაზებული იქნა სასურველი დროის შერჩევა იმისათვის, რომ ხელი არ შეშლოდა სასწავლო პროცესში. აღნიშნულის თაობაზე ეცნობა დიდი ბრიტანეთის თავდაცვის ატაშეს თავისი ხელმძღვანელობის ინფორმირების მიზნით, რომელიც გაგებით მოეკიდა საკითხს. ამავე ცნობით ირკვევა, რომ პროკურატურაში ვიზიტის თარიღის შეთანხმება მოხდა უშუალოდ კ. ყ.-ს და პროკურატურის საგამომიებო დეპარტამენტის უფროსის მოადგილეს დ. ფ.-ს შორის. კ. ყ.-ს მგზავრობისათვის დაიჯავშნა ბილეთი. ყოველივე აღნიშნულის შემდგომ, 31 მარტს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროში შევიდა კ. ყ.-ს წარმომადგენლის წერილი, რითაც ირკვევა, რომ მხარემ სასამართლოში გაასაჩივრა მინისტრის ბრძანება მივლინების შეწყვეტის შესახებ (ტ. II, ს.ფ. 98-99).

საქმეში არსებული 2015 წლის 30 მარტის (10:36 pm) ელექტრონული ფოსტის ამონაწერით დგინდება, რომ კ. ყ.-ს სახელზე განხორციელდა ბილეთის ჯავშანი - ლონდონი-სტამბული-თბილისი 31 მარტის თარიღით და თბილისი-სტამბული-ლონდონი 02 აპრილის თარიღით. ამავე ელექტრონული ფოსტის გზავნილით კ. ყ.-ს ეცნობა შემდეგი: „ბატონო კ., გთხოვთ იხილოთ თქვენი ჯავშანი. თუ მისაღებია, გამოვწერო.“ (ტ. II, ს.ფ. 104-105).

კ. ყ.-ს და კ. ჩ.-ს შორის წარმოებული ელექტრონული მიმოწერის/ფოსტის ამონაწერით დგინდება, რომ მხარეთა შორის მიმდინარეობდა კომუნიკაცია მგზავრობის თარიღებისა და ბილეთების თაობაზე, ასევე კ. ყ.-ს პოზიციაზე პროკურატურის მიერ მისი დაკითხვის ფორმის შესახებ (ტ. II, ს.ფ. 114-118).

დადგენილია და მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროში მუშაობის პერიოდში კ. ყ.-ს დისციპლინური სახდელი დაკისრებული არ ჰქონია.

5.2. სამართლებრივი დასაბუთება:

სააპელაციო სასამართლო მხარეთა ახსნა-განმარტებების, საქმის მასალების გაცნობის, სააპელაციო საჩივრების საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ კ. ყ.-ს სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი ექვემდებარება დაკმაყოფილებას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოსათვის არცერთ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

სააპელაციო სასამართლო ზემოაღნიშნული მუხლის საფუძველზე აღიარებს მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასების პრინციპს, თუმცა თვლის, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნები ემყარება საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების არასრულყოფილ შეფასებას, რაც სააპელაციო სასამართლოს მხრიდან გამორიცხავს ამ შეფასებების საფუძველზე წარმოდგენილი დასკვნების გაზიარების შესაძლებლობას.

სარჩელით მოთხოვნილია კ. ყ.-ს მივლინების 3 დღით შეწყვეტისა და შესაბამისი პერიოდით მივლინების გაგრძელების შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრის XXXX წლის XX მარტის ბრძანების, კ. ყ.-ს დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრის XXXX წლის XX ა.-ს ბრძანების, კ. ყ.-ს მივლინების შესახებ XXXX წლის XX მარტის ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე საქართველოს თავდაცვის მინისტრის XXXX წლის XX აპრილის ბრძანების ბათილად ცნობა; ასევე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის კ. ყ.-ს თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსის თანამდებობაზე აღდგენისა და მისთვის იძულებით განაცდური ხელფასის ანაზღაურების დაკისრების დავალება.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივრით გასაჩივრებულია პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების (სარეზოლუციო ნაწილის) მე-2 პუნქტი, რომლითაც, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი კ. ყ.-ს სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ ბრძანება.

კ. ყ.-ს სააპელაციო საჩივრით კი გასაჩივრებულია გადაწყვეტილების (სარეზოლუციო ნაწილის) მე-2 და მე-3 პუნქტები, ანუ ის ნაწილი, რომლითაც სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი კ. ყ.-ს სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ ბრძანება და გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომლითაც დანარჩენი სასარჩელო მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობა უნდა შეამოწმოს მხოლოდ გასაჩივრებულ ნაწილებში.

5.2.1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით:

დადგენილია, რომ მოსარჩელის (აპელანტის) კ. ყ.-ს თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე ბრძანებას საფუძველად დაედო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის XXXX წლის XX აპრილის დასკვნა, რომლის თანახმადაც, საქართველოს თავდაცვის მინისტრის XXXX წლის XX მარტის ბრძანების საფუძველზე, კ. ყ.-ს შეუწყდა სასწავლო მივლინება 2015 წლის 30 მარტიდან 2015 წლის 01 აპრილის ჩათვლით. მიუხედავად იმისა, რომ კ. ყ. იცნობდა მინისტრის ბრძანებას მივლინების შეწყვეტის შესახებ, მან საქართველოში ჩამოუსვლელიობასთან დაკავშირებით საქმის კურსში არ ჩააყენა ხელმძღვანელობა და მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გაესაჩივრებინა სასამართლოში ადვოკატის მეშვეობით. კ. ყ.-ს ამგვარი ქმედება მიჩნეული იქნა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა დარღვევად, რომლის თანახმადაც, დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს „სამსახურებრივ მოვალეობათა ბრალეული შეუსრულებლობა

ან არაჯეროვანი შესრულება“. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსი კ. ყ. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 79-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე გათავისუფლებულიყო დაკავებული თანამდებობიდან.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის XXXX წლის XX აპრილის დასკვნა, თავის მხრივ ეყრდნობოდა აღნიშნულ საკითხზე გენერალური ინსპექციის ინსპექტირების მთავარი სამმართველოს ადმინისტრაციული ინსპექტირების სამმართველოს მიერ ჩატარებულ სამსახურებრივ შემოწმებას.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის XXXX წლის XX აპრილის დასკვნა შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნა თავდაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების დეპარტამენტს.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ კ. ყ.-სთვის ცნობილი იყო მისთვის მივლინების 3 დღით შეწყვეტის მიზეზი, კერძოდ, საქართველოს მთავარ პროკურატურას სურდა მისი მოწმის სახით დაკითხვა და იმის გამო, რომ იგი იმყოფებოდა გრძელვადიან მივლინებაში საზღვარგარეთ, პროკურატურამ მიმართა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კ. ყ.-ს დაკითხვაზე გამოცხადების უზრუნველყოფის თხოვნით.

საქმის მასალებით ასევე დადგენილია და მხარეებიც არ უარყოფენ, რომ საქართველოს პროკურატურაში გამოცხადების მიზნით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უფლებამოსილ თანამშრომელსა და კ. ყ.-ს შორის მიმდინარეობდა კომუნიკაცია მისი მივლინების შეწყვეტის სავარაუდო თარიღისა და მგზავრობის ორგანიზების საკითხებთან დაკავშირებით. საქმის მასალებით ასევე დასტურდება, რომ მივლინების პერიოდი შერჩეული იქნა თავად კ. ყ.-ს მიერ პროკურატურის თანამშრომელთან კომუნიკაციის შემდგომ. ასევე, დადასტურებულია შემდეგიც: იმისათვის, რომ კ. ყ.-ს მივლინების შეწყვეტას არასასურველი გავლენა არ მოეხდინა გაერთიანებულ სამეფოში მის მიერ სპეციალური სასწავლო კურსის გავლაზე, თავდაცვის სამინისტროს მიერ დიდი ბრიტანეთის სამხედრო ატაშესთან შეთანხმებული იქნა აღნიშნული საკითხი, რომელმაც დაადასტურა მივლინების სამი დღით შეწყვეტის შესაძლებლობა და ისიც, რომ მივლინების ამ ვადით შეწყვეტა უარყოფითად არ იმოქმედებდა კ. ყ.-ს მიერ შესაბამისი კურსის გავლაზე.

საქმის მასალებით დადგენილია და სააპელაციო სასამართლოში აპელანტ კ. ყ.-ს წარმომადგენლის განმარტებითაც ირკვევა, რომ კ. ყ.-ს მივლინების შეწყვეტის ბრძანების შეუსრულებლობის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენდა მისი მოთხოვნის - პროკურატურის მიერ დისტანციური საშუალებით დაკითხვის შეუსრულებლობა და ასევე, ბრძანების შესრულების ფაქტობრივად შეუძლებლობა, რაც აპელანტის წარმომადგენლის განმარტებით, გამოიხატებოდა ბრძანების მიღების თარიღისა და დაჯავშნული ბილეთების თარიღების მიხედვით თბილისში დროულად გამოცხადების შეუძლებლობაში.

სააპელაციო სასამართლო ზოგადად არ უარყოფს პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ აქტის შეფასებისას, სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობის შეფასების პროცესში, ადმინისტრაციული ორგანო სარგებლობს ფართო დისკრეციით და მოხელის სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ მიღებული ბრძანება უნდა პასუხობდეს

დასაბუთებულობის მაღალ სტანდარტს და შესაბამისად, ორგანო ვალდებულია დაასაბუთოს, თუ რაში მდგომარეობს უხეში დარღვევა, რა მტკიცებულებებზე დაყრდნობით იღებს ასეთ გადაწყვეტილებას და რატომ არის გამორიცხული სხვა სახის დისციპლინური სახდელის გამოყენება მოხელის მიმართ, რომლის მიმართაც არ მოქმედებს არც ერთი დისციპლინური სახდელი. თუმცა, მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებული აქტების მიმართ სწორედ რომ ზემოაღნიშნულ შემთხვევებს ჰქონდა ადგილი - გასაჩივრებული აქტები, რომლებიც მიღებულია დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, კანონიერი და დასაბუთებულია.

პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ღ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილებაა – უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. ამავე კოდექსის მე-6 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, თუ ადმინისტრაციულ ორგანოს რომელიმე საკითხის გადასაწყვეტად მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, იგი ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განახორციელოს დისკრეციული უფლებამოსილება მხოლოდ იმ მიზნით, რომლის მისაღწევადაც მინიჭებული აქვს ეს უფლებამოსილება. ამავე კოდექსის მე-7 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების შესაბამისად კი, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას არ შეიძლება გამოიყენოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იგი გამოიყენა. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა.

დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებისას გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს კერძო და საჯარო ინტერესების დაცვის საფუძველზე. გარდა აღნიშნულისა, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, რომ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას დაიცვას კანონის სხვა მოთხოვნებიც. ასევე, დისკრეციული უფლებამოსილებისას გამოცემული აქტი უნდა იყოს დასაბუთებული, ანუ აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა. ზემოთ მითითებულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას ადმინისტრაციული ორგანო შეზღუდული არ არის არჩევანში, მთავარია, რომ ის კანონის ფარგლებში განხორციელდეს.

ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებასთან მიმართებით პალატა მიუთითებს, რომ სასამართლოს კონსტიტუციურ ვალდებულებას წარმოადგენს გააკონტროლოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული დისკრეციული უფლებამოსილების კანონიერება. ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების კანონიერების დადგენა კი, უპირველესად, მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებიდან ხდება შესაძლებელი.

პალატა მიუთითებს, რომ სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების კანონიერებაზე მსჯელობისას გამოკვლეული უნდა იქნეს, თუ რამდენად დასაბუთებულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ შერჩეული საკითხის გადაწყვეტა, რაც თავის მხრივ, უნდა ეფუძნებოდეს ფაქტების ობიექტურ გამოკვლევას, დადგენასა და შეფასებას. სასამართლოს არ აქვს უფლებამოსილება შეამოწმოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ შერჩეული გადაწყვეტილების მიზანშეწონილობა, სასამართლო უფლებამოსილია შეამოწმოს მხოლოდ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერება და დასაბუთებულობა. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებაში უნდა აისახოს არსებული ალტერნატიული შესაძლებლობებიდან ყველაზე ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღების საფუძვლები. სასამართლო ვერ შეიჭრება ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში და ვერ განუსაზღვრავს არსებული შესაძლებლობებიდან თუ რომელი უნდა იქნეს გამოყენებული, ვინაიდან, როგორც უკვე აღინიშნა, სასამართლო ამოწმებს არა შერჩეული გადაწყვეტილების მიზანშეწონილობას, არამედ, მის კანონიერება-დასაბუთებულობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო კონტროლი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებაზე ვრცელდება იმ მასშტაბით, რომ სასამართლომ უნდა შეაფასოს სადავო გადაწყვეტილებაში გამოყენებულია თუ არა საკითხის გადაწყვეტის ყველაზე მისაღები საშუალება და დასაბუთებულია თუ არა გამოყენებული ღონისძიებების ყველაზე მეტად მისაღებობა სხვა ალტერნატიულ ღონისძიებებთან შედარებით. ასევე, პალატა აღნიშნავს, რომ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედება ადმინისტრაციულ ორგანოს ავალდებულებს დაიცვას პროპორციულობისა და თანაზომიერების პრინციპი.

სააპელაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სამართლებრივი ურთიერთობა წარმოადგენს პირის/პირთა ისეთ ქმედებას/ქმედებებს, რომელიც შემოფარგლულია კონკრეტული სამართლებრივი სივრცით, სადაც მხარეები სარგებლობენ როგორც უფლებებით, ასევე ვალდებულებებით და თავიანთი უფლებებისა და ვალდებულებების მიმართ შესაბამისი პასუხისმგებლობის ხარისხით. ამრიგად, მხარეთა მიერ განხორციელებული ქმედებები წარმოადგენენ იმ ფაქტებს, რომლის მიმართაც ხდება სამართლის ნორმის შეფარდება. ეს კი ნიშნავს, რომ ფაქტის არსებობას სამართლებრივი ნორმა უკავშირებს გარკვეული იურიდიული შედეგის დადგომის შესაძლებლობას, რის გამოც, დავის არსებითად სწორად გადაწყვეტისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ კონკრეტული ფაქტის დადგენა-დადასტურებას, რაც იქცა პირისათვის დისციპლინური გადაცდომის შერაცხვის საფუძვლად.

მოცემულ შემთხვევაში, პალატა ვერ გაიზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ კ. ყ.-ს თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე ბრძანება მიღებული იქნა საქმის ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, რომ არ არის დასაბუთებული, თუ რაში მდგომარეობდა სამსახურებრივი მოვალეობის უხეში დარღვევა და რა ზიანი გამოიწვია და რა უარყოფითი შედეგები მოჰყვა მოსარჩელის მოქმედებას.

განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლო დადასტურებულად მიიჩნევს ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან სადავო ბრძანების გამოცემის დროს პროპორციულობისა და თანაზომიერების პრინციპის დაცვის ფაქტს, რამდენადაც თვლის, რომ იმ პირობებში, როდესაც კ. ყ. წარმოადგენდა საქართველოს თავდაცვის

სამინისტროს თანამშრომელს (ადმინისტრაციის უფროსს), მის მიერ საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანების შეუსრულებლობა ნებისმიერი მის მიერ დასახელებული მოტივით (შესრულება შეუძლებელი იყო ფაქტობრივი გარემოებების გამო; საქართველოს პროკურატურის მიერ მისი დისტანციურად დაკითხვის შესაძლებლობის არსებობა, რის გამოც მიიჩნია, რომ ფიზიკურად მისი ჩამოსვლა არ წარმოადგენდა აუცილებლობას; პოლიტიკური მოტივებით მისი მივლინებიდან გამოწვევის მიზეზები; ბრძანების უკანონოობა და სხვ.), მიუხედავად იმისა, რომ მის მიმართ არ მოქმედებდა დისციპლინური პასუხისმგებლობის არცერთი ღონისძიება, შესაძლებელია ადმინისტრაციული ორგანოს (თავდაცვის სამინისტრო) და თანამდებობის სპეციფიკიდან (ადმინისტრაციის უფროსი) გამომდინარე, მიჩნეული ყოფილიყო სამსახურებრივი მოვალეობის ისეთ უხეშ დარღვევად/შეუსრულებლობად, რომელიც დისციპლინური სახდელის სახედ იმსახურებდა სწორედ სამსახურიდან დათხოვნას და არა უფრო მსუბუქ სახდელს. უფრო კონკრეტულად კი, იმ პირობებში, როდესაც კ. ყ.-თან მიმდინარეობდა მოლაპარაკება მივლინების 3 დღით შეწყვეტასთან დაკავშირებით, როდესაც მასთან შეთანხმებით ზუსტდებოდა შესაბამისი თარიღები, როდესაც მას გაეგზავნა ელექტრონული ბილეთის ჯავშანი, რომლის თანახმადაც, 3 დღის შემდეგ კ. ყ. დაბრუნდებოდა მივლინების ადგილზე, როდესაც ეს საკითხი შეთანხმდა დიდი ბრიტანეთის სამხედრო ატაშესთან და რომელმაც ეს შეთანხმება თავად მივლინების ადგილის ადმინისტრაციასთან, როდესაც ყველაფერი ეს ემსახურებოდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ მიზანს მოწმის დაკითხვის თაობაზე და ყოველივე ამის მიუხედავად, კ. ყ. არ ჩამოვიდა საქართველოში, სასამართლოს მოსაზრებით, ამგვარი ქმედება ნამდვილად წარმოადგენს სამსახურებრივი მოვალეობის ბრალეულ შეუსრულებლობას, რომელიც იმსახურებდა მკაცრ დისციპლინურ სახდელს - სამსახურიდან განთავისუფლებას. ამდენად, სასამართლო ეთანხმება ადმინისტრაციული ორგანოს შეფასებას ამგვარი ქმედების სამსახურებრივ მოვალეობათა უხეშ დარღვევად კვალიფიკაციაში; ეს ქმედება ადმინისტრაციულმა ორგანომ განახორციელა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში და არ გადაუჭარბებია ამ უფლებამოსილებისათვის. სააპელაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმაზეც, რომ თავდაცვის სამინისტრო ახორციელებს სპეციფიკურ მმართველობით საქმიანობას და ამდენად, იქ დასაქმებული პირი გვევლინება განსაკუთრებული პასუხისმგებლობის მატარებლად, მითუფრო, როდესაც საუბარია სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსზე, რომელსაც, პალატის მოსაზრებით, განსაკუთრებულად მართებდა გულისხმიერების, მოწესრიგებულობის, მინისტრის, როგორც ზემდგომი თანამდებობის პირის აქტის შესრულების და პატივისცემის ვალდებულება; ამგვარი დამოკიდებულების არარსებობას კი შესაძლოა გადამდები ხასიათი მისცემოდა თავდაცვის სამინისტროში, რაც დიდი ალბათობით, მომავალში უარყოფითად აისახებოდა სამინისტროში განსახორციელებელ საქმიანობაზე და რაც საბოლოოდ, დააზარალებდა ამ ორგანოს ქმედითუნარიანობას, ეფექტურობასა და პრესტიჟს.

ამდენად, იმ პირობებში, როდესაც კ. ყ.-ს მხრიდან დასტურდება კონკრეტული გადაცდომის ჩადენის ფაქტი - საქართველოს თავდაცვის მინისტრის XXXX წლის XX მარტის №XXX X XX XXXXXXXX ბრძანების ბრალეულად შეუსრულებლობა, პალატას მიაჩნია, რომ გატარებული დისციპლინური ღონისძიება დარღვევის თანაზომიერია და ამდენად, სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს არ მიიჩნევს კანონის მოთხოვნათა დარღვევით მიღებულად.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს სამსახურებრივ მოვალეობათა ბრალეული შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება. ამავე კანონის 99-ე მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს, რომ სამსახურებრივ მოვალეობათა დარღვევისათვის მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან, თუ მის მიმართ უკვე მოქმედებს დისციპლინური პასუხისმგებლობის ნებისმიერი სხვა ზომა. ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან დისციპლინური პასუხისმგებლობის მოქმედების გარეშე, თუ იგი უხეშად დაარღვევს სამსახურებრივ მოვალეობებს.

განსახილველ შემთხვევაში, პალატას მიაჩნია, რომ თავდაცვის სამინისტროს მიერ ზემოაღნიშნული ნორმების საფუძველზე გამოცემული აქტი კ. ყ.-ს თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ კანონიერია, შეესაბამება მისი მიღების ფაქტობრივ წანამდღერებს, დისკრეციული უფლებამოსილება გამოყენებულია სწორად, მიზანმიმართულად, გადაჭარბების გარეშე, საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და შესწავლის საფუძველზე; ხოლო ის გარემოება, რომ გასაჩივრებული აქტის ტექსტი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას, არ წარმოადგენს მისი ბათილობის საფუძველს, რადგან აქტის დასაბუთებაში იგულისხმება არამართო ფაქტობრივი დასაბუთების აქტის ტექსტში ასახვა, არამედ ასევე იმ მტკიცებულებათა შეგროვება, შეფასება და დასკვნის გაკეთება, რაც საფუძველად დაედო ამ აქტის გამოცემას და რაც, მოცემულ შემთხვევაში, წარმოდგენილია ადმინისტრაციული წარმოების მასალებში.

5.2.2 კ. ყ.-ს სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით:

პალატას მიაჩნია, რომ აპელანტ კ. ყ.-ს სააპელაციო საჩივარი სამართლებრივი თავლსაზრისით არ არის დასაბუთებული. პალატა, ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, ვერ გაიზიარებს აპელანტის მითითებებს იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს XXXX წლის XX აპრილის ბრძანება მისი სამსახურიდან განთავისუფლების თაობაზე უკანონოა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს არა ნაწილობრივ (ასკ-ის 32.4), არამედ არსებითად უნდა გაემათილებინა იგი, რადგან პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნული აქტი კანონიერია (დასაბუთება იხ. გადაწყვეტილების 5.2.1. პუნქტში).

რაც შეეხება სააპელაციო მოთხოვნებს XXXX წლის XX მარტისა და XX აპრილის აქტების კანონიერად მიჩნევის თაობაზე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებისა და ამ მოთხოვნათა ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ, სააპელაციო პალატა ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შესაბამის დასაბუთებას და განმარტავს, რომ 2015 წლის 30 მარტის ბრძანება, რომლითაც კ. ყ.-ს 3 დღით შეუწყდა მივლინება და შესაბამისი პერიოდით გაუგრძელდა ეს მივლინება, არ არღვევს აპელანტის უფლებებს, საქმის მასალები არ შეიცავს უფლების დარღვევის თაობაზე რაიმე დამაჯერებელ დასაბუთებას, არ დასტურდება გარემოება, თუ რატომ არ შეეძლო თავდაცვის მინისტრს, საპატიო და მნიშვნელოვანი მიზნიდან გამომდინარე, 3 დღით შეეწყვიტა მივლინება და უზრუნველყო აპელანტის მგზავრობა მატერიალურ-ტექნიკურად, აპელანტი ვერ მიუთითებს იმ სამართლებრივ ნორმებს, რომლებიც მოვლინების ამგვარი შეწყვეტით დაირღვა. გასაჩივრებული ბრძანების მიღებისას არ არის დარღვეული მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები, რაც იმას ნიშნავს, რომ გასაჩივრებული ბრძანებით არ იკვეთება კ. ყ.-ს

მიმართ პირდაპირი და უშუალო (ინდივიდუალური) ზიანის, მოსარჩელის კანონიერი უფლების ან ინტერესის, მისი უფლების უკანონოდ შეზღუდვის ფაქტ(ებ)ი.

რაც შეეხება აპელანტის არგუმენტს იმასთან დაკავშირებით, რომ მივლინებიდან 30 მარტს დაბრუნება შეუძლებელი იყო ფაქტობრივი მიზეზების გამო, რადგან მივლინების შეწყვეტის ბრძანება მას ჩაბარდა 30 მარტს საღამოს და მისი შესრულება წარსულ დროში შეუძლებელი იყო, სააპელაციო პალატა განმარტავს, რომ მივლინების 3 დღით შეწყვეტაზე კ. ყ.-ს დათანხმებისა და საქართველოში ჩამოსვლის სურვილის შემთხვევაში, შესაძლებელი იყო თარიღების კორექცია, რასაც ადასტურებს კ. ყ.-ს და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის კ. ჩ.-ს შორის წარმოებული ელექტრონული მიმოწერაც (ტ.1. ს.ფ. 116). მივლინების 3 დღით შეწყვეტის მიზეზი იყო კ. ყ.-ს მოწმის სახით დაკითხვის განზრახვა და კონკრეტულად როდის განხორციელდებოდა ეს საპროცესო მოქმედება, 30 მარტიდან 1 აპრილის ჩათვლით, თუ სხვა მიმდებარე თარიღებში, პროცესუალური მიზეზებისათვის არ ჰქონდა გადაწყვეტი მნიშვნელობა. დისციპლინურ გადაცდომად შეფასდა მივლინების შეწყვეტის ვადაში კ. ყ.-ს საერთოდ ჩამოუსვლელობა და არა ამ ვადის დარღვევა, რომლის კორექტირებაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, კ. ყ.-ს სურვილის შემთხვევაში, შესაძლებელი იყო.

რაც შეეხება 2015 წლის 17 აპრილის აქტს, რომლითაც ძალადაკარგულად გამოცხდდა კ. ყ.-ს მივლინების შესახებ ბრძანება, სააპელაციო პალატა განმარტავს, რომ იმ პირობებში, როდესაც სააპელაციო სასამართლოს მიერ კანონიერადაა მიჩნეული კ. ყ.-ს სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ ბრძანება, ამდენად, ძალაში უნდა დარჩეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება მივლინების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ აქტის ბათილობაზე უარის თქმის ნაწილშიც, ვინაიდან, მივლინებას ექვემდებარება მხოლოდ დაწესებულების თანამშრომელი; ამდენად, სამართლებრივ საფუძველსა და ლოგიკასაა მოკლებული სამსახურიდან განთავისუფლებული პირის მივლინების შესახებ ბრძანების ძალაში დატოვება.

ხოლო, რაც შეეხება სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების იმ ნაწილში გაუქმების შესახებ, რომლითაც მოსარჩელეს უარი ეთქვა სამსახურში აღდგენასა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებაზე, სააპელაციო პალატა განმარტავს, რომ იმ პირობებში, როდესაც სააპელაციო სასამართლომ კანონშესაბამისად მიიჩნია კ. ყ.-ს მივლინების შეწყვეტის, სამსახურიდან განთავისუფლებისა და მივლინების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ ბრძანებები, არ არსებობს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ კ. ყ.-ს თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსის თანამდებობაზე აღდგენის, მისთვის იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურების დაკისრების თაობაზე მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველები.

ამდენად, საქმის გარემოებების ანალიზიდან გამომდინარე, პალატას მიაჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ ადმინისტრაციული წარმოება ჩატარდა სრულყოფილად, საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად მიღებული იქნა სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები. იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ არ დგინდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 20XX წლის XX მარტის (მივლინების 3 დღით შეწყვეტა), XX აპრილისა (სამსახურიდან განთავისუფლება) და XX აპრილის (მივლინების

ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადება) ბრძანებების ბათილობის ფაქტობრივი და სამართლებრივი წინაპირობები, სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის XXXX წლის XX აპრილის ბრძანება ვ. ყ.-ს სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ, შეესაბამება კანონმდებლობას და სახეზე არ არის მისი ბათილად ცნობის საფუძვლები; ასევე, არ არსებობს XXXX წლის XX მარტის ბრძანებისა XXXX წლის XX აპრილის ბრძანების ბათილად ცნობის საფუძვლებიც. სააპელაციო პალატა განმარტავს: იმ პირობებში, როდესაც სააპელაციო სასამართლომ კანონშესაბამისად მიიჩნია ვ. ყ.-ს მივლინების შეწყვეტის, სამსახურიდან გათავისუფლებისა და მივლინების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ ბრძანებები, არ არსებობს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ ვ. ყ.-ს თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსის თანამდებობაზე აღდგენის, მისთვის იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურების დაკისრების თაობაზე მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლები.

6. საპროცესო ხარჯები:

აპელანტები განთავისუფლებული არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. განსახილველ შემთხვევაში, ვ. ყ.-ს სააპელაციო საჩივარს ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. ვინაიდან, სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხებთან დაკავშირებით აღძრული სარჩელი განთავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან, ამიტომ აპელანტს (მოსარჩელეს) ვ. ყ.-ს უნდა დაუბრუნდეს მის მიერ საპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ზედმეტად გადახდილი სახელმწიფო ბაჟი - 949 (ცხრაას ორმოცდაცხრა) ლარისა და 50 (ორმოცდაათი) თეთრის ოდენობით.

IV

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი, მე-12, 32-ე, 34-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 372-ე, 386-ე, 389-ე, 391-ე, 395-ე, 397-ე მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ვ. ყ.-ს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
3. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გასაჩივრებულ ნაწილში და ამ ნაწილში მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ვ. ყ.-ს სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.
4. დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელი.
5. ნ. ა.-ს (პ/ნ XXXXXXXXXXXX) უკან დაუბრუნდეს ვ. ყ.-ს სააპელაციო საჩივარზე 2015 წლის 24 დეკემბერს ს.ს. „თ. ბ.-ში“ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 949 (ცხრაას ორმოცდაცხრა) ლარი და 50 (ორმოცდაათი) თეთრი (საგადასახადო დავალება N1; რეგ.NXXXXXXXXX; ბანკის კოდი TRESGE22, სახაზინო კოდი 300773150).
6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (ქ. თბილისი, მმეზი

ზუბალაშვილების ქ. №32), დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარეთათვის გადაცემიდან 21 (ოცდაერთი) დღის ვადაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მეშვეობით (ქ. თბილისი, გრ. რობაქიძის გამზირი №7ა);

მოსამართლე:

შოთა გეწაძე

მოსამართლეები:

ნინო ქადაგიძე

მანანა ჩოხელი